



# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის კორუფციული რისკების შეფასების ანგარიშისა და ბრძანება



ბრძანება: ბ92.92212781  
თარიღი: 05/10/2021

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის კორუფციული რისკების შეფასების ანგარიშისა და  
თანმდევი დოკუმენტის 2022 წლის რისკების რეესტრის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის  
„ე“ პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად

## ვძრძანებ:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს თანდართული „ლაგოდეხის მერიის კორუფციული რისკების შეფასების ანგარიში და თანმდევი დოკუმენტი 2022 წლის რისკების რეესტრი“.

**საფუძველი:** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის კორუფციული რისკების შეფასებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ა/წლის 01 ოქტომბრის N92-922127446 მოხსენებით ბარათი.

**მუხლი 2.** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კორუფციული რისკების შეფასების მონიტორინგი განხორციელდეს 2022 წლის განმავლობაში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის კორუფციული რისკების შეფასების ანგარიშისა და თანმდევი დოკუმენტის რისკების რეესტრის შესაბამისად.

**მუხლი 3.** ლაგოდეხის მერიის კორუფციული რისკების მართვის გეგმისა და რისკების რეესტრის შესრულების კოორდინაციის მიზნით, პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „შიდა აუდიტის“ სამსახური.

**მუხლი 4.** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კორუფციული რისკების შეფასების პროცესი განმეორდეს და ანგარიში განახლდეს ყოველწლიურად, პროგრესის განსაზღვრის მიზნით.

**მუხლი 5.** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „კორუფციული რისკების შეფასების ანგარიში და თანმდევი დოკუმენტი 2022 წლის რისკების რეესტრი“ ინფორმაციისათვის მიეწოდოს მერიის სისტემაში მომუშავე თანამშრომლებსა და მერიის დაქვემდებარებულ ა(ა)იპირებს რისკების შეფასების მასშტაბიდან გამომდინარე, შესაბამისად, განემარტოთ რისკების შეფასებისა და ინტენსოვობიდან გამომდინარე მოსალოდნელი რისკის აღბათობისა და გავლენის შესახებ, ასევე რისკების მართვის დონისძიებების შესახებ.

**მუხლი 6.** ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 7.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მის: ქ. გურჯაანი, სანაბიროს ქუჩა N24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ელექტრონული წელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

